



ჯ. კახიძის №15, 0102, თბილისი, საქართველო; ტელ: (+995 32) 295 23 53; ფაქსი: (+995 32) 292 32 11  
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 295 23 53; Fax: (+995 32) 292 32 11  
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ გ-04/132-17

01.02 2017 წ.

ქ. ბოლნისის რაიონული  
სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით)

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი საჯარო ინფორმაცია 2012 წლიდან 2017 წლის იანვრის ჩათვლით (თითოეულ წელზე ინდივიდუალურად) არსებული მონაცემების გათვალისწინებით სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგ მუხლებთან დაკავშირებით:

- 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ (დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ) და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტები;
- 140-ე მუხლი;
- 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ (დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ) ქვეპუნქტითა და
- 150<sup>1</sup>-ე პრიმა მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით (2014 წლის 17 ოქტომბრიდან) გათვალისწინებული დანაშაულები;

1. სულ რამდენი საქმე იქნა განხილული ზემოთხსენებულ დანაშაულებთან დაკავშირებით?
2. რამდენი გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენი (თითოეული ცალ-ცალკე) იქნა გამოტანილი. აგრეთვე, რამდენ საქმეზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება?
3. რამდენ შემთხვევაში შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა სასამართლოს მიერ ზემოთხსენებულ დანაშაულებთან დაკავშირებით?

გთხოვთ, მოგვაწოდოთ, ზემოთხსენებულ პერიოდში გამოტანილი განაჩენები (როგორც გამამართლებელი, ისე გამამტყუნებელი) აღნიშნულ დანაშაულებთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

ანა ნაცვლიშვილი

თავმჯდომარე

*ა. ნაცვლიშვილი*